გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 66

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

ფიზიკურ პირისთვის, გიორგი ნადირაძისთვის (პ/ნ 59001012187) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2012 წლის 27 სექტემბერს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გიორგი ნადირაძეს (პ/ნ 59001012187) შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, 99 წლის ვადით. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (ბლოკი 003, ნაკვეთი 053) არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.26.035, ფართობით 401,00 კვ.მ. (ახალი საკადასტრო კოდი 66.46.26.003.053)

2020 წლის 15 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერიას №7659 განცხადებით მომართა გიორგი ნადირაძემ, რომელიც შემოვიდა თხოვნით, რათა მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება თავისი ვალდებულებებით გადაეცეს შპს „ჯიბეს".

2020 წლის 15 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერიას №7661 განცხადებით მომართა შპს „ჯიბეს"
(ს/ნ 206335223) დირექტორმა ლევან დავითიძემ, რომელმაც მოითხოვა გადაეცეს გიორგი ნადირაძის აღნაგობის უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებით და ვალდებულებებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ გიორგი ნადირაძეს (პ/ნ 59001012187) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებით მინიჭებული აღნაგობის უფლება შპს „ჯიბეზე" (ს/ნ 206335223) ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 235-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ გიორგი ნადირაძეს (პ/ნ 59001012187) მისცეს თანხმობა, 2012 წლის 27 სექტემბერს აღნაგობის ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება გაასხვისოს შპს „ჯიბეზე" (ს/ნ 206335223) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით.

2. აღნაგობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 2022 წლის 27 სექტემბერს მოხდება აღნაგობის უფლების საზღაურის გადახედვა.

3. აღნაგობის ხელშეკრულების არსებულ პირობებს დაემატოს ახალი პირობა - კომერციული დანიშნულების ობიექტი აშენდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში აღნაგობის უფლების მქონე პირის ცვლილების რეგისტრაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე